ევროკომისია და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში

ბრიუსელი, 4 მარტი 2015

JOIN(2015) 6 final ერთობლივი საკონსულტაციო დოკუმენტი

ევროპის ახალი სამეზობლო პოლიტიკის შესახებ

I. შესავალი. განსაკუთრებული ურთიერთობა

საგარეო ურთიერთოებებში უფრო ძლიერი ევროპა გვჭირდება. ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების განსამტკიცებლად სამეზობლოს ქვეყნებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, კავშირები და პარტნიორობა უნდა დავამყაროთ.

ევროკავშირის შესახებ შეთანხმების მე–8 (1) მუხლი ამობობს: *,,სამეზობლოს ქვეყნებთან ევროკავშირი დაამყარებს განსაკუთრებულ ურთიერთობებს, რომელთა მიზანია კეთილდღეობის და კეთილმეზობლობის სივრცის შექმნა ევროკავშირის ღირებულების საფუძველზე და რომლის მახასიათებელია თანამშრომლობაზე დამყარებული მჭიდრო და მშვიდობიანი ურთიერთობები."*

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა 2003 წელს შემუშავდა (კომუნიკაცია 'გაფართოებული ევროპა')[1]. მისი მიზანი იყო ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება და ევროკავშირთან მათი უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრირების შესაძლებლობის შექმნა, შიდა ბაზარზე ინტეგრირების პერსექტივის ჩათვლით. არსებული გეგმის მიხედვით ინტეგრირება უნდა მომხდარიყო თანდათან, რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმებისა და საერთო ღირებულებებისადმი ერთგულების გზით.

ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეზობლოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები განხორციელდა. დღევანდელი სამეზობლო უფრო ნაკლებად სტაბილურია, ვიდრე ათი წლის წინ. მაგალითად, აღმოსავლეთ სამეზობლოს ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში არსებული სულ უფრო მწვავე პრობლემები (2008 წლის საქართველოს კრიზისით დაწყებული უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტით დამთავრებული) გამოიწვია რუსულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელიც უფრო თამამი გახდა და გააღრმავა უთანხმოება რუსეთსა და ევროკავშირს შორის. 2011 წლიდან სამხრეთში, სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა სერიოზული გავლენა იქონია რეგიონზე. ლიბიაში დღესაც კონფლიქტია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ეგვიპტეშიც რთული პოლიტიკური ძვრებია. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა მშვიდობის დამყარების პროცესი ახლო აღმოსავლეთში შეფერხებულია; ამ რეგიონს ძალადობის რამდენიმე ტალღამ გადაუარა, 2014 წლის ღაზას მოვლენების ჩათვლით. ამ მოვლენებმა კიდევ უფრო გაართულა ევროკავშირისა და მისი პარტნიორების წინაშე მდგარი პრობლემები: გაუარესდა ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია, გაიზარდა უკანონო მიგრაცია და ლტოლვილთა ნაკადები, გაჩნდა საფრთხეები და სრულიად სხვადასხვა, ერთმანეთის საპირისპირო მოლოდინი.

ამ ხნის განმავლობაში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა თანდათან ვითარდებოდა: ,,ბარსელონის პროცესი" განვითარდა და 2008 წელს ,,ხმელთაშუაზღვის კავშირად" გარდაიქმნა, ხოლო 2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობა ჩამოყალიბდა; ამან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის რეგიონული შემადგენელი გააძლიერა. პოლიტიკის შინაარსშიც შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. დღეს სამეზობლოს ქვეყნებს აქვთ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის, ,,პარტნიორობა მობილურობისთვის" და უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა. ზოგიერთი რამ უკვე

[1] COM(2003) 104 final of 11.03.2003

განხორციელდა. 2012[2] წელს მოხდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვა არაბული გაზაფხულის მოვლენებზე რეაგირების მიზნით, რომლის დროსაც ხალხის გამოსვლებმა შედეგად გარკვეული წარმატება მოიტანა, მაგალითად ტუნისში, თუმცა უფრო მეტი არასტაბილურობა და პოლიტიკური დაძაბულობა შექმნა. სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებოდა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ ვერ მოახერხა ადექვატურად რეაგირება ბოლოდროინდელ მოვლენებსა თუ ჩვენი პარტნიორების ცვალებად მოლოდინზე. შესაბამისად, მან სრულად ვერც ევროკავშირიც ინტერესები დააკმაყოფილა.
ევროკავშირთან თანამშრომლობაში – როგორც ზოგადად, ისე პოლიტიკის გარკვეულ სფეროებში – პარტნიორებმა სხავადასხვა დონის ჩართულობა გამოამჟღავნეს. სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მოხერხდა ევროკავშირის გავლენის გავრცელება ზოგიერთ სფეროში, თუმცა არის რამდენიმე სფერო, სადაც რეფორმების განხორციელება შეფერხდა, ინტერესთა ნაწილობრივი შეუთავსებლობის გამო, რადგან ყველა პარტნიორი არ არის თანაბრად დაინტერესებული ევროკავშირთან განსაკუთრებული სახის პარტნიორობაში, რომელიც პლურალიზმსა და ინტეგრაციის მოდელზეა დამყარებული. ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირმაც განიცადა მნიშვენლოვანი ეკონომიკური კრიზისი, რომლის მეზობლებზე გავლენა გარდაუვალი იყო.

პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები სიღრმისეულ გავლენას ახდენს საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, რაზეც თვით ევროკავშირის გამოცდილებაც მეტყველებს. პარტნიორი ქვეყნები აფასებენ როგორც გრძელვადიან სარგებელს, ისე ხარჯებს, რომლებიც მოკლედივადიან პერსპექტივაში უნდა იქნეს გაღებული ევროკავშირთან ურთიერთოებებში, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში.

ის, თუ რა დოზით სურს თითოეულ ჩვენს მეზობელ ქვეყანას სხვადასხვა მოთამაშესთან ურთიერთობებში მონაწილეობა (ევროკავშირის ჩათვლით), მისი სტრატეგიული ორიენტაცია განაპირობებს. ზოგიერთმა პარტნიორმა აირჩია ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ასოცირების გზა – მასთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე ევროკავშირიც მზადაა. ევროკავშირი პატივს სცემს მათ სუვერენულ გადაწყვეტილებას და მზადდა ჩართულობის სხვა ფორმები მოძებნოს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ უნდა გადაიხედოს ის დებულებები თუ ფორმატი, რომელიც საფუძვლად უდევს სამეზობლო პოლიტიკას; უნდა გადაიხედოს ასევე მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები და მათი გამოყენების მექანიზმი, რომ სხვადასხვა სექტორული პოლიტიკის დახმარებით მოხერხდეს თანამშრომლობაში მეტი წვლილის შეტანა, შიდა და საგარეო პრიორიტეტებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის უზრუნველსაყოფად. გადახედვა მიზნად ისახავს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საერთო სივრცის ჩამოყალიბებას ჩვენს პარტნიორებთან ერთად. უნდა დადგინდეს, ასევე, სრულად არის თუ არა გამოყენებული ,,განსაკუთრებული ურთიერთობების“ პოტენციალი და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს

[2] 2 COM(2011) 303 of 25.05.2011

პოტენციალი გაძლიერდეს როგორც ევროკავშირის, ისე პარტნიორი ქვეყნების საკეთილდღეოდ.

იმისთვის, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ზუსტად მოერგოს ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნების მიზნებს, საჭიროა მათი ინტერესების საფუძვლიანი ანალიზი. ერთის მხრივ, აუცილებელია პარტნიორებთან კონსულტაცია მათი ინტერესებისა და ამბიციების გათვალისწინებით. მეორეს მხრივ კი ევროკავშირმა უფრო ნათლად უნდა განსაზღვროს თავისი მიზნები და ინტერესები იმ ღირებულებების პოპულარიზების პროცესში, რომელიც მას საფუძვლად უდევს.

პოლიტიკის გადახედვამ უნდა დააკმაყოფილოს პარტნიორების ძალზე განსახვავებული მოლოდინი. პარტნიორობაში სრულად ჩაბმულ და ინტეგრირებისკენ მიმართულ ქვეყნებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის შედეგად უნდა დადგინდეს, თუ როგორ გაგრძელდება და გაღრმავდება მათთან ჩვენი პარტნიორობა. ევროკავშირი ძალზე მონდომებულია, რომ პარტნიორობის პოტენციალი ყოველ ცალკეულ ქვეყანასთან სრულად იქნეს გამოყენებული, დღემდე არსებული მიღწევების გათვალისწინებით.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვისას უნდა შეფასდეს ის მიზეზები, რომელთა გამოც ზოგიერთი პარტნიორი ნაკლებად ან სულ არ არის დაინტერესებული ევროკავშირთან დაახლოებით; უნდა განისაზღვროს გზა, რომელიც ყველაზე კარგად დააკმაყოფილებს ორივე მხრის მოლოდინს. სამეზობლოს გარეთ მყოფი ზოგიერთი პატნიორი ქვეყანა შესაძლოა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ასოცირებაშია დაინტერესებული. განხილულ უნდა იქნეს ასევე კრიზისსა და კონფლიქტურ სიტუაციებზე, გახანგრძლივებული კონფლიქტების ჩათვლით, ევროკავშირის რეაგირების საუკეთესო გზები, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პარტნიორებზე ზეწოლისა და გავლენის წყაროები და განისაზღვროს მათი პოლიტიკური პოზიცია, მათ შორის ევროკავშირის მიმართ.
აუცილებელია, რომ ამ საკითხთან მიმართებაში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა უფრო მჭიდროდ იყოს ინტეგრირებული ევროპის ერთიან საგარეო პოლიტიკაში, ფართომასშტაბიანი მიდგომისა და ევროკავშირსა და წევრ ქვეყნებს ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის გამოყენებით.

პრეზიდენტმა იუნკერმა სწორედ ამ კონტექსტში მიიღო გადაწყვეტილება, ახალი ევროკომისიის მუშაობის პირველივე წელს მომხდარიყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვა. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმაც გამოთქვეს მოსაზრება გადახედვის აუცილებლობის შესახებ და თავიანთი წინადადებები წამოაყენეს. პარტნიორი ქვეყნების აზრითაც, აუცილებელია პოლიტიკის გადახედვა; ამავე აზრის არიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სოციალურ პარტნიორობაში მონაწილე ორგანიზაციები.

პარალელურად, ევროკომისია მუშაობს (ევროპის სამეზობლო პოლიტიკისაგან განსხვავებულ) გაფართოების პოლიტიკის დახვეწაზე, ამ კონტექსტში პრეზიდენტმა იუნკერმა თავის ,,პოლიტიკურ მითითებებში“ განაცხადა, რომ შემდგომი 5 წლის განმავლობაში ევროკავშირის გაფართოება არ მოხდება.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი არის დისკუსიის წამოწყება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სიღრმისეული გადახედვის მიმართულებით. მეორე თავში მოცემულია წინასწარი მიგნებები, რომლებიც ეფუძნება სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში დღემდე მიღებულ გამოცდილებას. მესამე თავში მოცემულია პირველადი მოსაზრებები მტკიცე პარტნიორობის შემუშავების საუკეთესო გზების შესახებ და შემოთავაზებულია რამდენიმე ძირითადი შეკითხვა პარტნიორებთან და დაინტერესებულ პირებთან დისკუსიის წარმართვისთვის. მეოთხე თავში თავმოყრილია საჯარო კონსტულტაციების სტრუქტურიზებისთვის აუცილებელ შემდგომი ნაბიჯები.

კონსულტაციების შედეგები აისახება კომუნიკაციაში, რომელიც უნდა შემუშავდეს 2015 წლის შემოდგომაზე და რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტული წინადადებები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამომავლო მიმართულებასთან დაკავშირებით.

II. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამომავლო მიმართულებასთან დაკავშირებული შეკითხვები და მიღებული გამოცდილება

ეს თავი ეყრდნობა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ათწლიანი პროცესიდან მიღებულ გამოცდილებას, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებს შორის რეგულარული და ხშირი კონტაქტებისა და დღეს მიმდინარე არაფორმალური კონსულტაციების (რომელშიც ბევრმა ქვეყანამ უკვე შეიტანა თავისი წვლილი) შედეგია.

2004 წლიდან მოყოლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ხელს უწყობდა ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ჩარჩოს შექმნას. ამ ჩარჩომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს საშუალება მისცა მიეღწიათ თანხმობისთვის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე მეზობლებთან თანამშრომლობაში მათი უფრო აქტიურად ჩართვის შესახებ. სამეზობლო პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ევროკავშირის ურთიერთობას სამეზობლოს ქვეყნებთან, რადგან სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმებში ძალზე მკაფიოდ იყო განსაზღვრული ორივე მხარის ვალდებულებები. სამეზობლო პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა პარტნიორი ქვეყნების მოთხოვნას, უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ ევროკავშირთან ურთიერთობებში.

დღეს, 10 წლის შემდეგ, ევროკავშირის საქმეებში მეზობლებთან პარტნიორულ ურთიერთობებს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პარტნიორი ქვეყნების უმეტესობისათვის ევროკავშირი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია. ევროკავშირსა და ევროპის სამეზობლო ქვეყნებს შორის არსებული მიგრაციული და მგზავრთა ნაკადები სულ უფრო მეტად გაიზარდა. სწორედ სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით ახდენდა ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებში რეფორმების წახალისებას და მათ ყოველწლიურ შეფასებას–განსაკუთრებით მმართველობის სფეროში – იმ სამოქმედო გეგმების საფუძველზე, რომლიც ინდივიდუალურად იყო შეთანხმებული ყოველ პატნიორ ქვეყანასთან. თუმცა, ამ პროცესში ხარვეზებიც გამოიკვეთა.

ნაწილი პარტნიორებისა აქტიურად ცდილობს ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრირებას, ნაწილი კი არა; ზოგს ევროპის სამეზობლო პოლიტიკა არ ხიბლავს,

რადგან ეჭვი შეაქვს ზოგიერთ იმ მოსაზრებაში, რომელიც ამ პოლიტიკას საფუძვლად დაედო.

მიუხედავად იმისა, რომ დიფერენცირების პრინციპი თავიდანვე ჩადებული იყო, ხშირად ცალკეულ ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა სათანადოდ არ ეხმიანება მათ კონკრეტულ მოლოდინს. პოლიტიკის პოტენციალის სრულად გამოყენებას ხელს უშლის ის, რომ ნაკლებია პარტნიორებთან თანაზიარობის განცდა.
მიდგომა ,,მეტი მეტისთვის" ხაზს უსვამს ძირითადი ღირებულებებისადმი ევროკავშირის ერთგულებას, თუმცა ყოველთვის ვერ უწყობს ხელს თანაბარ პარტნიორობაზე დამყარებული გარემოს შექმნას; ის ვერც პარტნიორ ქვეყნებში შემდგომი რეფორმების წახალისების საქმეშია ყოველთვის წარმატებული.

ამ კომუნიკაციაში წამოჭრილი საკითხების მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება ევროპის სამეზობლო პოლიტიკა გახდეს უფრო ეფექტიანი მექანიზმი ევროკავშირის და მისი პარტნიორების ინტერესების გასატარებალად; ასევე, ის თუ როგორ უნდა გარდაიქმნეს ის უფრო ხელსაყრელ გარემოდ მტკიცე პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად, სადაც უფრო კარგად იქნება ასახული ორივე მხარის სურვილი.

 ეჭვგარეშეა, რომ აუცილებელია ევროკავშირის პარტნიორებთან უფრო **სიღრმისეული ურთიერთობების** ჩამოყალიბება.

უნდა შენარჩუნდეს თუ არა ევროპის სამეზობლო პოლიტიკა? უნდა გაგრძელდეს თუ არა ერთი და იგივე ფორმატის გამოყენება აღმოსავლეთისა და სამხრეთისთვის?

 ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დღევანდელი ფორმატი **სამეზობლოს 16 ქვეყანას** მოიცავს. თუმცა, ბევრი ის გამოწვევა, რომელზე რეაგირებაც ევროკავშირმა და მისმა მეზობლებმა ერთობლივად უნდა მოახდინონ, ვერ იქნება ადექვატურად მოგვარებული, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ (ან ზოგ შემთვხევაში არ ვითანამშრომლებთ) **მეზობლების მეზობლებთან**.

უნდა შენარჩუნდეს თუ არა დღეს არსებული გეოგრაფიული არეალი? უნდა იყოს თუ არა შესაძლებელი სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მეზობლების მეზობლებთან მუშაობის უფრო მოქნილი მექანიზმის გამოყენება? როგორ უნდა შეძლოს ევროკავშირმა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა ისე, რომ მათ უკეთ იურთიერთონ თავიანთ მეზობლებთან? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მეტი შესაბამისობა იყოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა და ევროკავშირის პოლიტიკას შორის რუსეთის, ცენტრალური აზიის, აფრიკის– განსაკუთრებით ცენტრალური აფრიკის და სომალის ნახევარკუნძულის – და სპარსეთის ყურის ქვეყნების მიმართ?

 დღეს ევროპის სამეზობლოს პოლიტიკის განხორციელებას ევროკავშირის ინსტიტუტები უდგას სათავეში. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უფრო მეტმა ჩართულობამ შესაძლოა უკეთესი შედეგები მოიტანოს.

რამდენადაა შესაძლებელი, რომ უფრო ფართომასშტაბიანმა მიდგომამ და წევრი სახელმწიფოების უფრო მეტმა ჩართულობამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკას უფრო მეტი წონა შესძინოს? პარტნიორებს ურჩევნიათ, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის უფრო აქტიური „თანამფლობელები“ გახდნენ?

 ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში **შემუშავდა და ამოქმედდა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირების მექანიზმები იმ პარტნიორებისთვის, რომლებიც ამ მიზნისკენ ისწრაფვიან;** შემუშავდა ასევე მომავალზე ორიენტირებული ასოცირების – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით – შეთანხმებები.

ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ყველა პარტნიორისთვის სწორი და სასურველი მიზანია? ხომ არ სჯობს, რომ ზოგიერთი პარტნიორის განსხვავებულ ინტერესებსა და ამბიციებზე უფრო კარგად მორგებული ალტერნატივები შემუშავდეს?

 სამეზობლოს პარტნიორთა უმრავლესობასთან ევროკავშირის ურთიერთობების განვითარება **ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმების** ჩარჩოში მოხდა.

არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ჩვენს შორის პარტნიორობის გაღრმავების საუკეთესო საშუალება? ხომ არ არის ის ზოგიერთი პარტნიორისთვის ზედმეტად ზოგადი? უკეთესი ხომ არ იქნება ევროკავშირისთვის ან მისი პარტნიორებისთვის, თუ გეგმაში საკითხები მეტად აქცენტირებული, ხოლო პრიორიტეტები უფრო მკაფიო იქნება?

 ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმები დაეხმარა ევროკავშირს, უფრო ყურადღებით ედევნებინა თვალი წინსვლას ყველა იმ პარტნიორ ქვეყანაში, რომელსაც აქვს სამოქმედო გეგმა და დაედგინა მისი შესაბამისობა ურთიერთშეთანხმებულ და გეგმებში ასახულ მიზნებთან.

არის ეს მიდგომა ყველა პარტნიორის შესაფერისი? რა დამატებითი სარგებელი მოაქვს მას ევროკავშირის ურთიერთობისთვის ყოველ ცალკეულ პარტნიორთან? ევროკავშირის და პარტნიორი ქვეყნების ინტერესების დაკმაყოფილება ანგარიშების მომზადების უფრო მარტივი მექანიზმით ხომ არ სჯობს? ხომ არ სჯობს ანგარიშების შეცვლა იმის მიხედვით, თუ როგორ და რა დოზითაა ჩართული გეგმის განხორციელებაში კონკრეტული პარტნიორი ქვეყანა? როგორ უნდა მოვახდინოთ უკეთესი კომუნიკაცია ანგარიშში მოცემული ძირითადი თემების შესახებ?

 ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ შექმნა **დარგობრივი/სექტორული თანამშრომლობის ჩარჩო** სხვადასხვა, მეტად მრავალფეროვან სფეროებში (მათ შორისაა: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება, მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები, საბაჟო, საგადასახადო, გარემოს დაცვა, კატასტროფების მართვა, კვლევა და ინოვაციები, განათლება, ახალგაზრდობა, კულტურა, ჯანდაცვა და ა. შ.).

ხომ არ აჯობებს, რომ პარტნიორობა მხოლოდ ერთობლივ ინტერესებზე იყოს მიმართული, რომ ორივე მხარე უფრო მეტად ჩაერთოს მასში და ის ,,თავისად ჩათვალოს"? ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში როგორ უნდა დაიძლიოს ის განსხვავებები, რომელსაც ამგვარი მიდგომა გამოიწვევს? ხომ არ არის საჭირო რაიმე ახალი შემადგენლის შემოღება ამ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით?

 ვიზის ლიბერალიზებისა და ვიზების გამარტივების პროცესმა გააადვილა მოგზაურობა და განამტკიცა რეფორმები. ,,პარტნიორობა მობილურობისთვის" მექანიზმმა ხელი შეუწყო მეტი კონტაქტების დამყარებას იმ პროგრამების დახმარებით, რომლებიც ამ პროცესს ხელს უწყობდა.

რა დამატებითი საკითხებია ამ სფეროში ისეთი, რომელთა განხორციელებასაც სამეზობლო პოლიტიკის ყველა პარტნიორი ქვეყანა იზიარებს და მთავარ საკითხად მიიჩნევს? კიდევ რით შეუძლია ევროპის სამეზობლო პოლიტიკას დაეხმაროს მიგრაციის მართვისა და მობილურობიდან სარგებლის მიღების პროცესს?

 ევროკავშირს სურს ხელი შეუწყოს **კეთილდღეობას** თავის საზღვრებთან. პარტნიორ ქვეყნებში კეთილდღეობის დამკვიდრებას ხელს უშლის ისეთი სტუქტურული სისუსტეები, როგორიცაა უთანასწორობა, სიღარიბე, არაფორმალური ეკონომიკა და დემოკრატიის ხარვეზები, პლურალიზმი და კანონის უზენაესობის ნაკლებობა. ამასთან, პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარება შეაფერხა კონფლიქტებით გამოწვეულმა არეულობამ და სწრაფმა შიდა ცვლილებებმა.

როგორ შეუძლია ევროკავშირს დაეხმაროს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორ ქვეყნებს მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში? როგორ შევუწყოთ ხელი ახალ თაობას, რომ ის ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად გაძლიერდეს? როგორ შევუწყოთ ხელი მდგრადი დასაქმების პოპულარიზებას? როგორ შეიძლება ამ ამოცანების დაკავშირება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, მმართველობისა და უსაფრთხოების სფეროში განსახორციელებელ აუცილებელ რეფორმებთან, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წინაპირობაა?

 ევროკავშირს სურს **სტაბილურობის** დამკვიდრება თავისი საზღვრების მიმდებარე ტერიტორიაზე. არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის ევროკავშირმა უნდა გამოიყენოს თანამშრომლობის ყველა ინსტრუმენტი. ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა (CFSP) და ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში დღემდე განხორციელებული ღონისძიებები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოს გარეთ ხორციელდებოდა.
არასტაბილურობის დონე ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში არამარტო მის დემოკრატიისკენ სვლას აფერხებს, არამედ საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ევროკავშირზე,არალეგალური საემიგრაციო ნაკადებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

რა რეაგირება უნდა მოახდინოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ ***სამეზობლოში არსებულ კრიზისებსა და კონფლიქტებზე****? ხომ არ აჯობებს, რომ ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა (CFSP) და ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა მეტად იყოს ინტეგრირებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოში? უფრო მნიშვნელოვანი როლი ხომ არ უნდა დაეკისროს მას ნდობაზე მიმართული ღონისძიებებისა და პოსტკონფლიქტურ საქმიანობაში და მათთან დაკავშირებული ინსტიტუციური მშენებლობის საკითხებში? ხომ არ უნდა გაძლიერდეს სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში პარტნიორებთან მუშაობა რადიკალიზაციის პრევენციის და ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით? ხომ არ უნდა მიენიჭოს უსაფრთხოების სფეროს რეფორმირებას უფრო დიდი მნიშვნელობა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში?*

 ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ–ერთი მკაფიო ამოცანა **რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებაა**. სამხრეთის ქვეყნებთან ამგვარ თანამშრომლობაში ევროკავშირი (პარტნიორებთან ერთად) ჩართული იყო ხმელთაშუაზღვის კავშირის საშუალებით, ხოლო სამხრეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან – აღმოსავლეთის პარტნიორობის საშუალებით.
შესაძლებელია რაიმე დამატებითი სარგებლის მიღება მრავალმხრივი თანამშრომლობიდან? ემსახურება ეს ფორმატები მიზანს? როგორ გავზარდოთ მათი ეფექტიანობა? ხომ არ შეიძლება, რომ სხვა, უფრო მოქნილი ჩარჩოები უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ? შეგვიძლია უკეთ ვითანამშრომლოთ რეგიონში მოქმედ სხვა მოთამაშეებთან (ევროპის საბჭო, ეუთო, არაბული ქვეყნების ლიკა, ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია, აფრიკის კავშირი)?

 ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ბევრს მუშაობს მთავრობებთან, თუმცა ის **სამოქალაქო საზოგადოებასთან** მუშაობაში ჩართვას და მისი მონიტორინგის ფუნქციის გაძლიერებასაც ცდილობს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება თავისუფლად ან ნაწილობრივ თავისუფლად ფუნქციონირებს.

რა გზით უნდა გააფართოვოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა? რისი გაკეთებაა შესაძლებელი იმისთვის, რომ პარტნიორი ქვეყნების მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ბიზნესს შორის კავშირები გაიზარდოს? რომ სოციალურ პარტნიორებთან ერთად და მათ შორის (პროფკავშირები და დამსაქმებულთა ორგანიზაციები) კავშირები განმტკიცდეს და სოციალური დიალოგი გააქტიურდეს? რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ განმტკიცდეს კავშირები სამეცნიერო წრეებს, უნივერსიტეტებს, ადგილობრივ ხელისუფლებებს, ქალებს, ახალგაზრდებს და მედიას შორის?

 ევროპის სამეზობლო პოლიტიკა დაინტერესებულია, ჩამოაყალიბოს ჭეშმარიტი პარტნიორობა ევროპის სამეზობლოსთან, რომელიც უნდა ასახავდეს და ხელს უწყობდეს მრავალფეროვნებას.

რა უნდა გააკეთოს ევროპის სამეზობლომ იმისთვის, რომ უფრო მეტად შეუწყოს ხელი რელიგიურ დიალოგს, კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და წინ აღუდგეს არასწორი წინასწარ განწყობებს/ცრურწმენებს. ხომ არ უნდა იყოს ერთმანეთის კულტურების უკეთ გაგება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტული ამოცანა და როგორ უნდა უზრუნველვყოთ ეს? რა რეაგირება უნდა მოახდინოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ დისკრიმინაციაზე?

III. უფრო მიზანმიმართული და საჭიროებებზე მორგებული პარტნიორობისკენ სწრაფვა

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მათი პარტნიორი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წევრი ქვეყნების გამოცდილება და წინამდებარე დოკუმენტის შესახებ მათი პირველადი კომენტარები მიუთითებს ოთხ პრიორიტეტულ სფეროზე, რომლებსაც შემდგომი კონსულტაციები და გააზრება სჭირდება, ესენია:

- **დიფერენცირება**
- **ფოკუსირება**
- **მოქნილობა**
- **,,თავისად აღქმა“ და თვალსაჩინოება**

1. დიფერენცირების სირთულეები

აღმოსავლეთ პარტნიორების ნაწილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთახმებას ახორციელებს და რაც შეიძლება უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობების საკმაოდ ფართო სპექტრი ჯერ კიდევ ასათვისებელია, მათი მხრიდან არსებობს მოლოდინი, რომ დაისახება ურთიერთობების უფრო შორეული პერსპექტივები, ასოცირების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთახმებების მიღმა.

სამხრეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის არსებულ მოლოდინი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა და ის სულ უფრო ღრმავდება, იზრდება შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული არასტაბილურობაც. არაბულ სამყაროში 2011 წელს განვითარებულმა მოვლენებმა და მათმა შედეგებმა ფუდამენტურად შეცვალეს რეგიონი. სამხრეთის ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანაში დადებითი პოლიტიკური ცვლილება მოხდა,ზოგში რთული გარდაქმნები ხორციელდება, ზოგი სირიის კრიზისის უარყოფითი შედეგებით დაზარალდა და გაჭიანურებულ კონფლიქტებში ჩათრეულნი აღმოჩნდა.

ხომ არ არის აუცილებელი, რომ ევროკავშირმა ურთიერთობების ახალ ფორმატზე იფიქროს მათი მოლოდინის და არჩევანის დასაკმაყოფილებლად, ვინც ასოცირების შეთანხმებას პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრირების ბოლო საფეხურად არ მიიჩნევს?
როგორ უნდა გააგრძელოს ევროკავშირმა 2013 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტისთვის დასახულ ამოცანაზე ზრუნვა, რომელიც მსო–ს წესებზე დამყარებული ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო ფართო სივრცეს შექმნასა და

მთელს ევროპაში და მის მიღმა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს?
არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში პერსპექტივა რაიმე სახის ცვალებადი კონფიგურაციის შექმნისა, რომელიც სხვადასხვა ტიპის ურთიერთობების დამყარების საშუალებას მისცემს იმ პარტნიორებს, ვინც სხვადასხვა დონის ჩართულობას აირჩევს?

2. ფოკუსირება
ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორ ქვეყნებთან სამოქმედო გეგმებში აღწერილი ჩვენი ურთიერთობა ძალზე ფართომასშტაბიანია. გამოცდილება გვკარნახობს, რომ სამეზობლო პოლიტიკა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას მართლაც ერთი დღის წესრიგი აქვთ. სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის შედეგად უნდა განიმარტოს, რა ინტერესები აქვს ევროკავშირს და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას და რომელია მათი საერთო ინტერესის ყველაზე დიდი სფერო. ეს დაეხმარება პარტნიორობის განვითარებას ევროკავშირსა და სამეზობლო ქვეყნებს შორის.

დღემდე ჩატარებული არაფორმალური კონსულტაციების შედეგად მიღებული წინასწარი შეფასების მიხედვით დადგინდა, რომ დღეს ევროკავშირსა და პარტნიორებს ყველაზე დიდი საერთო ინტერესები აქვთ შემდეგ სფეროებში:

 ჩვენი სამეზობლოს ქვეყნების პრიორიტეტებია **ვაჭრობის** და ინკლუზიური და მდგრადი **ეკონომიკური განვითარებისა** და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. ეს საკითხები ევროკავშირის ინტერესებშიც შედის და მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, სოფლის ტრადიციული მეურნეობიდან დაწყებული კვლევითა და ციფრული ბაზრებით დამთავრებული.

 ორივეს მხარეს აქვს მტკიცე საერთო ინტერესი იმისა, რომ გაუმჯობესდეს **კავშირები,** განსაკუთრებით მდგრადი ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში. არსებობს ასევე ენერგომომარაგების უსაფრთხოების, ენერგოეფექტურობისა ენერგოუსაფრთხოების გაზრდის საერთო ინტერესი.

 დღეს რეგიონზე გავლენას ახდენს იქ მიმდინარე კონფლიქტები. კეთილდღეობის გაზრდაზე ერთობლივი ზრუნვის წინაპირობა სტაბილურობაა. კონფლიქტური სიტუაციებიდან, ორგანიზებული დანაშაულიდან და ტერორიზმიდან მომდინარე **საფრთხეების** დასაძლევად ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა ერთად უფრო მეტი უნდა იმუშავონ და განავითარონ კრიზისებისა და კატასტროფების ერთობლივად მართვის უნარი და შესაძლებლობები.

 ჩვენი პარტნიორების წინაშე **მმართველობასთან** დაკავშირებული სირთულეებია. კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და დემოკარტიის უზრუნველყოფა პირველ რიგში მათი მოქალაქეებისთვისაა აუცილებელი. სამართლებრივი წესრიგის დამყარებით ისინი ისეთ საკითხებსაც მოაგვარებენ, რომელიც ადგილობრივი და უცხოელი ინვესტრობისთვისაა მნივნელოვანი, კერძოდ კორუფციასთან და თაღლითობასთან ბრძოლა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული შიდა საჯარო კონტროლის ჩათვლით.

 მიგრაცია და მობილურობა ევროკავშირსა და ჩვენს პარტნიორებს შორის ურთიერთოებების მთავარი სფეროა. მობილურობის გაზრდას – განსაკუთრებით განათლების, სამეცნიერო, კულტურული, ტრენინგისა და პროფესიული მიზნით – პოზიტიური შედეგი მოაქვს ქვეყნების ეკონომიკისა და საზოგადოებებისთვის. კონტრაბანდა და არალეგალური მიგრაცია ყველასთვის საერთო გამოწვევაა.

 სხვა საერთო გამოწვევები, რომელიც ერთი ქვეყნის საზღვრებს სცდება და მთელს სივრცეზე ახდენს გავლენას არის ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება.

 ახალგაზრდების უფრო მეტ ჩართულობას, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაცვლებისა და სხვა ქსელების საშუალებით, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ სამომავლოდ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებაში. ევროკავშირი გააგძელებს **ქალებისთვის** უფრო მეტი შესაძლებლობების შექმნას.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვა ქმნის შესაძლებლობას, მიღწეულ იქნეს მჭიდრო ურთიერთგაგება ევროკავშირსა და პარტნიორებისთვის საერთო ინტერესების სფეროებში. სწორედ ეს იქნება მტკიცე პარტნიორობის საფუძველი მომავალში.

ამასთან დაკავშირებით, გთავაზობთ, რომ კონსულტაციების პროცესში ძირითადი ყურადღება დაეთმოს შემდეგი საკითხების განხილვას:

ეთანხმებით იმ საკითხებს, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს? თუ არ ეთანხმებით, რა ალტერნატიულ ან დამატებით პრიორიტეტებს შემოგვთავაზებთ?

რა პრიორიტეტებს ხედავენ პარტნიორები ევროკავშირთან მათ ურთიერთობებში? რა სექტორის ან პოლიტიკის რა სფეროს განვითარება სურთ მათ? რა სფეროებია მათთვის ნაკლებად საინტერესო?

აქვს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკას საკმარისი ბერკეტები იმ პრიორიტეტების განსახორციელებლად, რომელზეც, თქვენი აზრით, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს? რა წვლილის შეტანა შეუძლია პროცესში სექტორულ დიალოგებს?

თუკი ასეთი ბერკეტები არ არსებობს, რა ახალი საშუალებები უნდა გამოინახოს, რომ გაღრმავდეს თანამშრომლობა ამ სფეროებში?

რა გზით უნდა მოხდეს იმ პარტნიორების დახმარება, რომელთაც ურჩევნიათ, რომ ევროკავშირმა დახმარება მთავარ, მაგრამ უფრო შეზღუდული რაოდენობის სექტორებში მიმართოს?

3. მოქნილობა – უფრო მოქნილი ინსტრუმენტებისკენ სვლა

ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროკავშირმა განავითარა და განავრცო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტები. დღეისათვის ის რამდენიმე ძირითად ელემენტს მოიცავს, ესენია:

o ევროკავშირსა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორი ქვეყნების უმეტესობას შორის ურთიერთობა აგებულია ასოცირების შეთანხმებების ან

პარნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანმხებების მიერ შეთავაზებულ სამართლებრივ ჩარჩოებზე.

o დღეისათვის სამეზობლო პოლიტიკის 12 პარტნიორ ქვეყანასთან შეთანხმებულია სამოქმედო გეგმები და ასოცირების დღის წესრიგები. ყოველი ქვეყნისთვის მზადდება სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელების წლიური ანგარიში.

o ყოველწლიურ ანგარიშებთან ერთად, ,,სამეზობლოს ყოველწლიური პაკეტი" მოიცავს ერთ სტრატეგიულ კომუნიკაციას და ორ ანგარიშს თანამშრომლობის რეგიონული პრიორიტეტების განხორციელების შესახებ: ერთი ანგარიში შეეხება დემოკარტიისა და საერთო კეთილდღეობის შესახებ პარტნიორობას სამხრეთის პარტნიორებთან, ხოლო მეორე – აღმოსავლეთის პარტნიორებთან.

o რეგულარულ ორმხრივ დიალოგებს სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებთან ევროკავშირი სხვადასხვა ფორმატში წარმართავს. მათ შორისაა ოფიციალური შეხვედრები ასოცირების შეთანხმების და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებების ფორმატში (ასოცირების/თანამშრომლობის საბჭოები, ასოცირების/თანამშრომლობის კომიტეტები, სექტორული ქვეკომიტეტები). არის მრავალი სხვა ფორმატი, როგორიცაა დიალოგი ადამიანის უფლებების სფეროში და სხვა სექტორული დიალოგები.

o ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებმა უკვე მიიღეს საკმაოდ მოცულობითი მიზნობრივი ფინანსური დახმარება. 2014–2020 წლებისთვის მოსალოდნელია დამატებით 15 მილიარდი ევროს გამოყოფა. 2017 წლისთვის დაგეგმილია შუალედური შეფასება, რაც ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტიდან თანხების გამოყოფის და კორექტირების კარგი საშუალებაა იმ შედეგებიდან გამომდინარე, რაც სამეზობლო პოლიტიკის გადახედვას მოყვება; ასევე, არის საშუალება, რომ ევროკავშირმა უკეთ და უფრო მოქნილად მოახდინოს რეგიონში სწრაფად მიმდინარე მოვლენებზე რეაგირება.

o *როგორ მოვახდინოთ სამოქმედო გეგმების მორგება თითოეული ქვეყნის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე?*

o განა საჭიროა წლიური ანგარიშების მომზადება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არ ცდილობენ უფრო მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას?

o როგორ უნდა მოახდინოს ევროკავშირმა იმ ქვეყნებთან ურთიერთობების სტრუქტურირება, რომლებსაც სამოქმედო გეგმები არ აქვთ?

o *როგორ უნდა მოახდინოს ევროკავშირმა პრინციპის ,,მეტი მეტისთვის" ადაპტირება იმ კონტექსტისათვის, სადაც ზოგიერთი პარტნიორი არ ცდილობს უფრო მჭიდრო ინტეგრირებას. როგორ უნდა მოხდეს ფუნდამენტური ღირებულებების პატივისცემა და ძირითადი რეფორმების გატარება ამ კონტექსტში?*

o როგორ შევაფასოთ რეფორმების პროცესში წინსვლა ერთობლივად დასახული ამოცანების შესრულებაში, თუკი პარტნიორი ქვეყანა მნიშვნელოვან ზეწოლას განიცდის გარედან, მაგალითად შეიარაღებული კონფლიქტების ან ლტოლვილთა ნაკადების შედეგად?

o *როგორ უნდა ჩაერთოს ევროკავშირი უფრო ეფექტიანად და როგორ უნდა გახდეს ის უფრო მოქნილი კონფლიქტით დაზარალებულ პარტნიორი ქვეყნებში სწრაფად მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებისას?*

o *რა საშუალებები სჭირდება ევროკავშირს იმისთვის, რომ უფრო ეფექტიანად უპასუხოს მის სამეზობლოში ასე სწრაფად მიმდინარე მოვლენებზე?*

o *სწორადაა შერჩეული ევროკავშირის ფინანსური დახმარების სექტორები და დახმარების მიწოდების ხერხები? როგორ უნდა გახდეს ეს დახმარება უფრო შედეგიანი და თვალსაჩინო?*

4. „თავისად" აღქმა და მეტი თვალსაჩინოება

ევროპის სამეზობლო პოლიტიკას ყველაზე ხშირად იმისთვის აკრიტიკებენ, რომ პარტნიორები და საზოგადოება მას „თავისად" არ აღიქვამს და მის მიზნებს და შედეგებს ცუდად იცნობს. ნათელია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გადახედვის კონტექსტში აუცილებელია სერიოზული ძალისხმევის გამოჩენა, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა ის „თავისად" აღიქვან და გაუმჯობესდეს დასახული მიზნებისა და შედეგების წარმოჩენა როგორც ევროკავშირში, ისე პარტნიორ ქვეყნებში.

რას ეძებენ პარტნიორების ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში? რა საუკეთესო გზა არსებობს იმისთვის, რომ ამ პოლიტიკამ პარტნიორების ინტერესები და მოლოდინი გამოხატოს?

შესაძლებელია ისეთი სამუშაო მექანიზმების შემუშავება, რომლებიც პარტნიორების მეტ პატივისცემას გამოხატავს და ადასტურებს, რომ ეს თანაბართა პარტნიორობაა? რა გავლენა უნდა ჰქონდეს ამას წლიურ ანგარიშებზე?

შესაძლებელია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრუქტურებში თანაშრომლობა გაიზარდოს და უკეთ წარმოჩინდეს პარტნიორების საკუთარი არჩევანი? შესაძლებელია ასევე მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეთ ყველა პარტნიორი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს?

შესაძლებელია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ უფრო მოკლე ვადაში მოიტანოს სარგებელი, რომ საზოგადოებამ უფრო იოლად შეიცნოს მისი სიკეთე? რა უნდა გააკეთოს ამისთვის ევროკავშირმა? პარტნიორმა ქვეყანამ?

როგორ უნდა გარდაიქმნას ევროკავშირის ფინანსური დახმარება დონორის ფორმატიდან ინვესტიციაში, სადაც პარტნიორის აქტიური როლი უფრო ნათელი გახდება?

როგორ უნდა ჩაერთონ ევროკავშირის წევრი ქვეყნები პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში უფრო ეფექტიანად, საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩათვლით? როგორ შეიძლება ევროკავშირის წევრი ქვეყნების საქმიანობის უკეთ კოორდინირება ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან?

საჯარო კონსულტაციების ეს ფაზა ძალზე მნიშვნელოვანი იქნება და დაეხმარება სამეზობლო პოლიტიკის ,,თავისად“ უკეთ აღქმასა და ახალი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისთვის უფრო ეფექტიანი კომუნიკაციის საფუძველის ჩაყრას.

IV. შემდგომი ნაბიჯები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიმართულების შესახებ დისკუსიის ჩარჩოს შექმნა. მისი მიზანია, ასევე რაც შეიძლება მეტ პარტნიორთან და დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების გამართვა სამეზობლოს ქვეყნებში და ევროკავშირის მასშტაბით. ჩვენ გავივლით კონსულტაციებს წევრ ქვეყნებთან და პარტნიორებთან, მაგრამ ასევე მონაწილეთა მთელ სპექტრთან პარლამენტებიდან (ევროპარლამენტის ჩათვლით), სამოქალაქო საზოგადოებასა და კვლევით ორგანიზაციებთან, სოციალურ პარტნიორებთან და აკადემიურ და ბიზნეს წრეებთან. ჩვენ ჩავერთვებით აქტიურ მუშაობაში სამეზობლოს ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს, ასევე ეუთოს და სხვა ძირითადი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩათვლით. საზოგადოების დაინტერესებულ წევრებსაც ექნებათ შესაძლებლობა წარმოადგინონ წერილობითი წინადადებები. ამ დოკუმენტის შესახებ კონსულტაციების გამართვა დაგეგმილია ივნისის ბოლომდე.